მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელება საქართველოში

ავტორი: ნინო ბუჯიაშვილი

თემის ხელმძღვანელი:

გიორგი სორდია

თბილისი

2019

შესავალი

ინტერესი კულტურული მრავალფეროვნებისადმი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ–ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც თუნდაც ერთი კულტურული უმცირესობა არ არსებობდეს. კაციობრიობა არასდროს ყოფილა ერთგვაროვანი. დღესდღეობით კი გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა.

მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული საკითხები XX საუკუნის და ჩვენი თანამედროვეობის ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა, რომელიც ინტერესს იმსახურებს. საერთაშორისო სისტემაზე ზედაპირული დაკვირვებაც კი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენული.

მულტიკულტურალიზმის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. მულტიკულტურული პოლიტიკის ორი ძირითადი ელემენტია: განსხვავებულობის დაფასება, ჯგუფური (კოლექტიური) უფლებების დაცვა და ამ ორ პრინციპზე აგებული სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია. მისი მთავარი ამოცანა კი არის დაძლიოს უმრავლესობა–უმცირესობის ურთიერთობებში გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი, გააფართოვოს თითოეული მოქალაქის ცნობიერი ,,კულტურული ჰორიზონტი''.

საქართველო მულტიკულტურული სახელმწიფოა, სადაც ტრადიციულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური მახასიათებლების მატარებელი ეთნოსები და კულტურული ჯგუფები.

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა

მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2 პროცენტი მიეკუთვნება ეთნიკური უმცირესობას. მათ შორის რაოდენობით ყველაზე მსხვილ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6. 2 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი), რომლებიც კომპაქტურად არიან წარმოდგენილი ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში (ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები), დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები კომპაქტურ დასახლებებს ნაკლებად ქმნიან და განსახლებულები არიან სხვადასხვა რეგიონებსა და ურბანულ ცენტრებში.

შესაბამისად, საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მულტიკულტურალიზმის, როგორც კონეფციის ცხოვრებაში გატარების საკითხი. დემოკრატიის განმტკიცება და განვითარება საქართველოს საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, რომლის მისაღწევად აუცილებელია ინდივიდთა შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა. ეთნიკურ

უმცირესობათა უფლებების დაცვა და მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებს დემოკრატიულობის ხარისხსა და განვითარებას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს თუ რამდენად ხორციელდება საქართველოში მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა და რამდენად თანხვედრაში მოდის ის მულტიკულტურალიზმის ზოგად კონცეფციასთან. შესწავლილ იქნას თუ რამდენად განხორციელებადია კულტურული მრავალფეროვნების იდეა საქართველოში. საინტერესოა თუ რა მიღწევები და პრობლემები აქვს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით, რა საერთაშორისო ვალდებულებები აქვს აღებული ქვეყანას ამ მიმართულებებით, რა საკანონმდებლო ცვლილებებს ახორციელებს და ზოგადად რამდენად ხდება ამა თუ იმ ცვლილებებისა თუ აღებული ვალდებულებების

იმპლემენტაცია და რამდენად შედეგის მომტანია ეს ყველაფერი იმისათვის, რომ მოხდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომამდგენლების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ნაშრომში განხილული პერიოდი მოიცავს საქართველოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკას 2005 წლიდან დღემდე. 2005 წელი მიჩნეულია ათვლის წერტილად, რადგან სწორედ ამ წლიდან დაიწყო თანამედროვე ეტაპზე უმცირესობათა მართვის სფეროში ინსტიტუციური ცვლილებები და სწორედ 2005 წელს მოახდინა საქართველოს პარლამენტმა ევროსაბჭოს ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება და პასუხისმგებლობის აღება სამოქალაქო ინტეგრაციის განხორციელებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიურ ჭრილში არ მიმდინარეობს ამ საკითხის აქტიური განხილვა. ხელისუფლების და საზოგადოების საერთო გამოწვევად და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშემშლელ ფაქტორად უნდა დასახელდეს ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური და კულტურული

მრავალფეროვნების საკითხების მიმართ დაბალი ცნობიერება, სწორედ ესაა წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანიც, რომ მულტიკულტურალიზმის საკითხმა კიდევ უფრო წინ წამოიწიოს, გამოკვლეულ და განხილულ იქნას აკადემიურ ჭრილში.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად კვლევა მოიცავს შემდეგ ამოცანებს: შესწავლილ იქნას ქვეყნის იმ სამინისტროების მუშაობის სპეციფიკა, განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხები: კერძოდ: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სხვა სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობა და მათი ბიუჯეტი.

კვლევის ამოცანას ასევე წარმოადგენს მულტიკულტურალიზმის ინდექსის მიერ შემუშავებული 8 ინდიკატორის გამოკვლევა რომლებიც მოიცავს შემდეგს:

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე;

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში;

3. ეთნიკური წარმომადგენლობების ჩართვა მედია ლიცენზირებაში;

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისგან;

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება;

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად;

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება;

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი ემიგრაციული ჯგუფებისადმი.

აღნიშნული ინდიკატორებით მოხდება მოხდება საქართველოსთვის შესაბამისი 0-დან 8-ქულამდე მინიჭება და მულტიკულტურალიზმის შკალაზე მისი განთავსება.

ჰიპოთეზა

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სამოქოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს უფლებების აღიარებას და კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერას, რითაც ეს პოლიტიკა უახლოვდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებულ მულტიკულუტალიზმის კონცეფციას, თუმცა საქართველოს მაგალითზე მულტიკულტურალიზმის პრაქტიკული რეალიზება და ცხოვრებაში გატარება მხოლოდ ფრაგმენტულად, შერჩეულ მიმართულებებში ხორციელდება.

ნაშრომი მოიცავს ხუთ თავს, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილი ქვეთავებად.

პირველი თავი ზოგადად მიმოიხილავს იმ თეორიულ ასპექტებს, რომლებიც დაკავშირებულია მულტიკულტურალიზმთან, განსაკუთრებული ყურადღება ამ თავში დათმობილი აქვს კიმლიკას თეორიას.

მეორე თავი ეხება მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის განმარტებას და მათ შედარებას.

მესამე თავში წარმოდგენილია ის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, რომელიც ინტერკულტურულ ურთიერთობათა საკითხებს ეხება. აქცენტი გამახვილებულია ისეთ საერთაშორისო აქტებზე, როგორებიცაა: ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, გაეროს კონვენცია ,,რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის'' შესახებ, ევროპის საბჭოს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩოკონვენცია და ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის

რეკომენდაციები. ასევე თავში წარმოდგენილია ის საერთაშორისო აქტები, რომელთაც მიერთებული საქართველო და რომლითაც საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული აქვს პასუხისმგებლობა, რომ დაიცავს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.

მეოთხე თავში მიმოხილულია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, თუ როგორ ხდება ამ ქვეყნებში მულტიკულტურალიზმის პოლიტიკისა გატარება, რა მიღწევები და გამოწვევები აქვთ მათ ამ მიმართულებით. თავში მიმოხილულია უილ კიმლიკას მიერ შესწავლილი 21 ქვეყნის მაგალითი, სადაც მულტიკულტურალიზმის ინდექსი დაფუძნებულია 8 ინდიკატორზე, რომლითაც ხდება მულტიკულტურალიზმის ხარისხის გაზომვა თითოეულ ქვეყანაში. საუკეთესო ქვეყნების მაგალითს წარმოადგენს, შემდეგი: ავსტრალია, კანადა, შვედეთი, ფინეთი, ახალი ზელანდია და დიდი ბრიტანეთი.მათი შედეგები 8 ქულიდან 5 ქულაზე მეტია.

მეხუთე თავში წარმოდგენილია საქართველოს მაგალითი, თუ რა მიღწევები და გამოწვევები აქვს ქვეყანას მულტიკულტურალიზმის მიმართულებით.

დასკვნა

ამ თავის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მულტიკულტურალიზმის საკითხი მეტად აქტუალურია, რაც ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებიდანაც იკვეთება. 2000-იანი წლებიდან საქართველოში ამი მიმართულებით გატარებული პოლიტიკა მეტად თანმიმდევრული გახდა. საქართველო აღიარებს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციებსა თუ დოკუმენტებს, რომლებიც ინტერკულტურულ განათლებას ეხება და შესაბამისად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ამ მიმართულებით ვალდებულებაც აქვს აღებული. საქართველოს კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერები, რომელშიც ასახულია მულტიკულტურალზმის მნიშვნელობა და

საჭიროება. თუმცა ფორმალურად ის არ წარმოადგენს მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას და არ არის მორგებული მულტიკულტურალიზმის ზოგად კონცეფციას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის პოლიტიკის მიმდინარეობაში უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი თარიღი იყო 2005 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა უმცირესობათა დაცვის ევროპულ ჩარჩო კონვენციას და საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო დონეზე აიღო ვალდებულება გაატაროს ღონისძიებები და მიიღოს ზომები ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და ამავე დროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისათვის. ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებამ ბიძგი მისცა საქართველოს ხელისუფლებას დაეწყო ოპტიმალური მიდგომების და პროგრამების ძიება ეთნიკურ უმცირესობათა მართვის პოლიტიკაში. არაერთი სამთავრობო და

ინსტიტუციური ცვლილების შედეგად დღეის მდგომარეობით საქართველოს მთავრობაში ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით ერთიანი ინსტიტუციური მართვის მექანიზმი არსებობს, რომელიც კონცენტრირებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელში. ეს უწყება წარმოადგენს მთავარ სახელმწიფო ინსტიტუტს რომელიც პასუხისმგებელია ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულების შესრულებასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე. მთაავრობის მხრიდან კი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც არეგულირებს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს არის ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია. ეს დოკუმენტი თავდაპირველად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2009 წელს, განახლებული რედაქციით კი დამტკიცებულ იქნა 2015 წელს, შესაბამისი ხუთწლიანი სამოქმედო გეგმით.

ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის ჩარჩო-მექანიზმის გამართვის პარალელურად, სხვადასხვა სამთავრობო უწყებები ჩართული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია სამოქალაქო და პოლიტიკუს ჩართულობაზე, განათლებასა და სახელმწიფო ენის სწავლებაზე, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და მედია ხელმისწვდომობის უზრუნველყოფაზე.

ის მიმდინარე პოლიტიკა, რასაც საქართველოში ადგილი აქვს უკანასკნელი წლების მანძილზე ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციის და ზოგადად კულტურული მრავალფეროვნების მართვის სფეროში ხასიათდება ლიბერალური მიდგომით, ეთნიკურ უმცირესობებს მიიჩნევს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რომელთა ინტეგრირება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო თუ ეკონომიკურ

სივრცეში აღიქმება როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამავე დროს, ინტეგრაციისათვის გამიზნული ქმედებები და პროგრამები თავისი არსით უახლოვდება საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ მულტიკულტურალიზმის კონცეფციას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევაზე, მათ შორის ფინანსური შემწეობის მექანიზმებით ინტერვენციაზეა ორიენტირებული. სახელმწიფო ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებაზე, კერძოდ ეთნიკურ უმცირესობათა საჯარო სკოლების ფუნქციონირება, შესაბამისი პედაგოგების მომზადება, სტანდარტიზაციის შექმნა, საპილოტე პროგრამების დაფინანსება და ასე შემდეგ. მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსი მიმართულია ასევე კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერასა და უმცირესობათა მედია საშუალებების მხარდაჭერაზე. ამავე დროს ძირითად გამოწვევებად რჩება სამოქალაქო ინტეგრაციისა და სრულფასოვანი

ჩართულობის ზოგადი პოლიტიკის მთელი რიგი მიმართულებების ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული განხორციელება. უკანასკნელი წლების მანძილზე მიმდინარე პროგრამებმა და ცალკეულმა ინტერვენციებმა ჯერჯერობით სრულფასოვნად ვერ უზრუნველყვეს ეთნიკური პლურალიზმი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროში, რაც აისახება უმცირესობათა არასაკმარის მონაწილეობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ასევე დაბალი მდგრადობით გამოირჩევა უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომელთაც არ შესწევთ უნარი განახორციელონ ეფექტური ადვოკატირება და უფლებების დაცვა. ზოგად ინტეგრაციულ პროცესს ხელს უშლის ასევე ეთნიკურ უმცირესობათა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლები შესაძლებლობები. მთელი რიგი პოზიტიური ქმედებების მიუხედავად, აღნიშნული მიმართულებებით ხელშესახები გარღვევა ჯერ კიდევ

არ არის მიღწეული. ხელისუფლების და საზოგადოების საერთო გამოწვევად და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშემშლელ ფაქტორად უნდა დასახელდეს აგრეთვე ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების საკითხების მიმართ დაბალი ცნობიერება, რაც თავის ნეგატიურ გამოვლინებას ჰპოვებს ხოლმე ჰომოფობიურ და ქსენოფობიურ ტენდენციებში, რაც განსაკუთრებით აისახება ცალკეული მედია საშუალებების და სხვადასხვა პოლიტიკური დატვირთვის მქონე ორგანიზაციების ზოგად რიტორიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის საქმეში, ქვეყანამ ვერ ძეშლო იმ საინფორმაციო ვაკუუმის ამოვსება, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის არის წარმოქმნილი. საქართველოს ეთნიკური უმცირესობები, რომლებმაც ქართული ცუდად იციან, ახალ ამბებსა და ინფორმაციას მცირე რაოდენობის

ადგილობრივი ეთნიკური მედია საშუალებებიდან იღებენ.

2000-იანი წლებიდან დღემდე უმცირესობების ინსტიტუციური მართვის პოლიტიკაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. სახეზე გვაქვს ინსტიტუციური მდგრადობისკენ და ეფექტურობისაკენ ორიენტირებული ტენდენცია და გამოკვეთილი სამთავრობო ხედვა, რაც ასახულია შესაბამის საკანონმდებლო და სამართლებრივ რეგულაციებში. ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია უწყებათაშორისო კოორდინაცია და თანამშრობლობა. თუმცა პოლიტიკის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს მთავრობის მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებაში შეზღუდული ფინანსური უზრუნველყოფა. ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გაცხადებული პრიორიტეტიზაცია ასახული არ არის საბიუჯეტო დონეზე ფინანსურ უზრუნველყოფაში. ისე როგორც წინა წლებშიც ამჟამადაც არაერთი სამთავრობო ვალდებლების და

პასუხისმგებლობის შესრულება დამოკიდებულია საერთაშორისო მხარდაჭერაზე.
არსებული რეალობის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში გატარებული პოლიტიკა არის სპონტანური და არ ითვალისწინებს პოზიტიურ გამოცდილებას, ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად ნათელი მაგალითია თუნდაც ბილინგვური განათლების პროგრამა, რომელმაც ვერ მოიტანა კონკრეტული შედეგები. ამ პოლიტიკით დასახული მიზნების მიღწევა დროისა და ფინანსური რესურსის ნაკლებობის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთადერთი დადებითი რაც შეიძლება დავინახოთ ბილინგვური განათლების პოლიტიკის წამოწყებაში იყო ის, რომ გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის ქართული ენის შესწავლის მოტივაცია, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა დადებითი შედეგებიც მოიტანოს.

უილ კიმლიკას მიერ შესწავლილ 21 ქვეყნის შკალაზე და მულტიკულტურალიზმის ინდექსით

ჩამოყალიბებული 8 ინდიკატორის გაზომვის შედეგად საქართველო არც თუ ისე ცუდ შედეგს წარმოაჩენს. თითოეული ინდიკატორით მინიჭებული ქულების ჯამი შეადგენს 3,5.

მულტიკულტურალიზმის ინდექსი

ინდიკატორები	მინიჭებული ქულა
ავსტრალია	8
კანადა	7.5
შვედეთი	7.0
ფინეთი	6.0
ახალი ზელანდია	5.5
დიდი ბრიტანეთი	5.5
ბელგია	5.5
საქართველო	**3.5**
ესპანეთი	3.5
ნორვეგია	3.5

პორტუგალია	3.5
ესპანეთი	3.5
აშშ	3.5
ირლანდია	3.0
გერმანია	2.5
საბერძნეთი	2.5
ნიდერლანდები	2
საფრანგეთი	2
ავსტრია	1.5
იტალია	1
შვეიცარია	1
დანია	0
იაპონია	0


Multiculturalism Policy Index - Immigrant Minorities
1980
1990
2000
2010
Strong - 6.0 to 8.0
Modest - 3.0 to 5.5
Weak - Under 3.0

Multiculturalism Concept and the Realization of the Idea of Cultural Diversity in Georgia

Author: Nino BUJIASHVILI

Supervisor: George SORDIA

Tbilisi

2019

Introduction

Interest towards cultural diversity is becoming more and more active. Cultural diversity is one of the main features of the modern world. The issues related to multiculturalism are one of the relevant areas of our time and it deserves special attention and interest. Mankind has never been homogenous, but nowadays globalization process has closely linked different parts of the world and the diversity has become more evident. Today, it is practically impossible to find a country where there is not even one cultural minority. Just a glance at international system is enough to see that the majority of modern states are culturally heterogeneous. Globalization has closely linked different parts of the world and the diversity has become even more evident.

The valuing of cultural diversity in balance with equality of opportunity and mutual tolerance are some of the central themes of multiculturalism. Two main elements of multiculturalism are: valuing cultural diversity in balance with equality of opportunity and protection of collective rights. Its main task is to overcome the syndrome of alienation and distrust in majority-minority relations.

Georgia is a multicultural country where traditionally live different ethnic, religious and linguistic groups. According to the latest census of population in 2014 13.2 percent of Georgian population belongs to national minorities. Among the largest groups are: Azeri (6.2 percent) and Armenians (4.5 percent) compactly represented in southern regions of the country (Kvemo-Kartli and Samtskhe-Javakheti regions). Other ethnic groups do not make compact settlements and they are represented in different regions and urban centers.

The importance of multiculturalism is gradually increasing in Georgia. Strengthening democracy is one of the main objectives of Georgian government and society and in order to achieve this objective it is necessary to foster equality among individuals. Protecting the rights of ethnic minorities and supporting the diversity and pluralism of society significantly contributes to the quality and development of democracy.

The paper aims to research the level of multiculturalism in Georgia how well it comes with the general conception of multiculturalism and if the idea of cultural diversity is possible to be realized in the country. It is interesting to find out what are the achievements and challenges to integrate ethnic minorities in the society; what international obligations has Georgia taken in order to protect the rights of national minorities, what legislative changes has Georgia made in recent years and how these

obligations are implemented in practice. The period discussed in the paper covers the policies implemented by Georgia since 2005. Since 2005 Georgia has begun institutional changes in the field of national minorities and it has ratified European Framework Convention for the protection of national minorities and took responsibility for ensuring civil integration. It should also be noted that in the academic circles there is no active discussion about the issue. One of the main objectives of the paper is to examine research and discuss multiculturalism in the academic context.

In order to reach the above-mentioned goal, the research includes the following objectives: Study the specifics of those ministries (planned and implemented projects) which are directly involved in the process of ethnic integration in society, namely: State Ministry for Reconciliation and Civic Equality of Georgia, Ministry of Education and Science, Ministry of Culture and Sports, Central Election Commission of Georgia, the activities of other governmental structures and analyzing their budget.

One of the main objective is to research 8 indicators, developed by Multiculturalism Index, which include the following:

1.Constitutional, legislative or parliamentary affirmation of multiculturalism at the central and/or regional and municipal levels and the existence of a government

ministry, secretariat or advisory board to implement this policy in consultation with ethnic communities;

2.The adoption of multiculturalism in school curriculum;

3.The inclusion of ethnic representation/sensitivity in the mandate of public media or media licensing;

4.Exemptions from dress codes (either by statute or court cases);

5.Allows dual citizenship;

6.The funding of ethnic group organizations or activities;

7.The funding of bilingual education or mother-tongue instruction;

8.Affirmative action for disadvantaged immigrant groups.

Hypothesis

National policy if Georgia which is oriented on civic integration, is associated with recognition of minority rights and support of cultural diversity. Thus, the policy is approximated with concept of multiculturalism, established in many countries. Although, in case of Georgia, manifestation and realization of multiculturalism policy takes place only in certain directions.

The paper consists of five chapters. The first chapter covers theoretical framework related to multiculturalism, with particular emphasis on Kymlika's theory.

The second chapter deals with the definition and comparisons of multiculturalism and interculturalism.

Third chapter presents international legal framework related to interculturalism, special attention paid to the following international acts: European Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination, European Charter of the Regional or Minority Languages, European Framework Convention for the protection of national minorities and recommendations of OSCE High Commissioner on National Minorities.

The fourth chapter reviews the experience of various countries on how multiculturalism in these countries is implemented, what achievements and challenges they have in this direction. In evaluating multiculturalism policies in 21 countries, the index uses eight indicators. The countries with the best scores include the following: Australia, Canada, Sweden, Finland, New Zealand and Great Britain. Their scores are above 5 out of 8. The fifth chapter evaluates Georgia's multiculturalism policy, its progress and challenges.

Conclusion

According to the chapters we can conclude that the issue of multiculturalism in Georgia is of special importance, this has been visible from the steps taken by the Government of Georgia in recent years. From the 2000s, the intercultural education policy has become more consistent. Georgia recognizes the declarations and documents adopted by the Council of Europe concerning intercultural education. The Georgian legislation contains some records which emphasize the importance and need of multiculturalism. But formally it is not the politics of multiculturalism and is not adapted to the general conception of multiculturalism.

In 2005 Georgian government ratified European Framework Convention for the protection of national minorities. The ratification of the Framework Convention has enabled the Georgian authorities to seek optimal approaches and programs in the policies of ethnic minorities. As a result of many governmental and institutional changes, there is a unified institutional management mechanism in relation to ethnic minorities in the Government of Georgia, which is concentrated in the hands of State Ministry for Reconciliation and Civic Equality. The Ministry is a major state institution responsible for implementation of all local and international obligations and state policy in relation to ethnic minorities. The government's main guideline, which regulates issues related to ethnic minorities, is a national concept for tolerance and civil integration. This document

was originally adopted by the Government of Georgia in 2009, with a renewed edition approved in 2015, with a five-year action plan. In conjunction with the implementation of the Frameworks for the Protection of Ethnic Minorities and Civil Integration, various government agencies are involved in implementing policies focused on the integration of ethnic minorities within their competence, which focuses mainly on civic and political involvement, education and teaching of state language, maintenance of national identity and media accessibility.

The current policy with regard to ethnic minorities is characterized by a liberal approach. This policy considers ethnic minorities as full members of society and their integration into socio-political, educational and economic spheres is considered as an important prerequisite for the democratic development of the country. At the same time, the actions and programs taken by the Government of Georgia with regard to integration is oriented towards active interference by the state, including mechanisms of financial assistance. A significant portion of the state financial resources are concentrated on financing education programs, particularly the functioning of public schools of ethnic minorities, preparation of appropriate teachers, creation of standardization, financing of pilot programs and so on. Important budget resources are also aimed at supporting cultural activities and supporting minority media sources. At the same time, it should be noted that

there are still many challenges in this direction. The main challenge is to conduct effective and result-oriented implementation of integration policy. Over the past few years, the current programs have so far failed to accomplish ethnic pluralism in civil and political sphere which is reflected in the lack of minority participation in decision-making processes, as well as low level of sustainability of public communities which are not able to conduct effective advocacy and protection of ethnic minority rights. An important challenge of general integration policy is the low level of state language knowledge among ethnic minorities and the lack of access to education. Another obstacle and challenge is the low consciousness of Georgian society about the issues related to ethnic and cultural diversity which has its negative reflection in the xenophobic tendencies in the media and in the rhetoric of various political organizations. Despite the fact that Georgia has made some progress in the protection of ethnic minorities in recent years, the country has not been able to fill out the information vacuum that is formed between ethnic minorities and the majority. Ethnic minorities who do not speak state language well get information from the local media sources. From the 2000s until now, a number of changes have taken place in the institutional management policy of minorities. We have a tendency toward institutional sustainability and effectiveness, and a clear governmental vision which is reflected in the relevant legislative and legal regulations. Intergovernmental

coordination and co-operation are also significantly improved. The effectiveness of the policy is restricted because of lack of financial resources from the Government. The majority of governmental obligations are based on international financial support. Considering the existing reality, we can conclude that the policy pursued in Georgia is spontaneous and is not based on positive experience, clear example of this is the program of bilingual education which has not brought any concrete results. The goals set out with the bilingual education policy were impossible due to lack of time and financial resources. The only positive aspect of the bilingual education policy was to increase motivation among ethnic minorities to study Georgian language which will bring positive results in a long-term perspective.

Studying all the eight indicators, Georgia has achieved 3,5 score out of 8 which is not a bad result if we compare it to the international experience and all the other 21 states studied by international multiculturalism index.